ინ ფ ო რ მ ა ც ი ა

ქ. რუსთავში შპს „მაქს იმპორტის“ ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ

| № | შენიშვნების და წინადადებების ავტორები | შენიშვნების და წინადადებების შინაარსი | პასუხი |
|---|---|---|---|
| 1 | მწვანე ალტერნატივა<br>ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org ვებ-გვერდი: www.greenalt.org | გზშ ანგარიშში ხაზგასმულია, რომ დასაქმება დადებითად აისახება სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე და ახალი სამუშაო ადგილები შეიქმნება. საწარმო უკვე ფუნქციონირებს და კომპანიაში ადამიანების გარკვეული ნაწილიც დასაქმებულია. გაუგებარია, რამდენი ადამიანის დასაქმება იგეგმება საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდეგ.<br><br>საჯარო განხილვაზე, კომპანიის წარმომადგენელმა, მწვანე ალტერნატივას მიერ დასმულ შეკითხვაზე, თუ რამდენი ადამიანის დასაქმებას გეგმავდა კომპანიაში დამატებით - უპასუხა, რომ ჯერ არ იცის. ასევე, შეკითხვაზე, თუ რამდენი ადამიანია საწარმოში ამჯერად დასაქმებული - ჯერ უპასუხა, რომ არ იცოდა, შემდეგ ადამიანების გარკვეული რაოდენობა დაასახელა (თუმცა, ზუსტი პასუხი მაინც არ ჰქონდა). საწარმოო ტერიტორიაზე მომუშავე | **მოცემულ შენიშვნებთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:** გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოში დასაქმებული იქნება 24 ადამიანი, თუმცა საჯარო განხილვაზე კომპანიის წარმომადგენლის მიერ ვერ მოხერხდა საწარმოში დასაქმებული ადამიანების ზუსტი რაოდენობის დასახელება, ხოლო სავარაუდო რაოდენობა შეადგენდა 25, 40 ან 55 ადამიანს, რაც განსხვავდება გზშ-ის ანგარიშში მოცემული ინფორმაციისგან. ამასთან ვერ დასახელდა გათვალისწინებულია თუ არა ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდეგ საწარმოში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სამინისტროს მოთხოვნის (წერილი N6558/01 (29/06/2021)) საფუძველზე შპს „მაქს იმპორტის“ მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტაცია (წერილი N11777; 06/07/2021). დაზუსტებული ინფორმაციის თანახმად, საწარმოში ამჟამად |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | პირებისგანაც, ასევე, სხვადასხვა პასუხი მოვისმინეთ (ზოგის თქმით, საწარმოში 25 ადამიანი მუშაობს, ზოგის თქმით 55 და ა.შ).<br><br>საბოლოოდ, გაურკვეველია საერთოდ დაასაქმებს თუ არა დამატებით ადამიანებს საწარმო. | დასაქმებულია 24 ადამიანი, რომელთა რაოდენობაც ექსპუალაციის პირობების ცვლილების შემდეგ გაიზრდება 40-მდე. |
| 2 | მწვანე ალტერნატივა<br>ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org ვებ-გვერდი: www.greenalt.org | საჯარო განხილვაზე, კომპანიის წარმომადგენელმა არაერთხელ გაიმეორა, რომ საწარმოს ტერიტორიის მორწყვა ხდება - რაც მართალი არ აღმოჩნდა. 18 მაისს საწარმოო ტერიტორიაზე სტუმრობის დროს, როგორც ქარხნის, ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე საშინელი მტვერი იდგა. გარკვეულ მომენტებში სუნთქვა და რაიმეს დანახვაც, კი შეუძლებელი იყო. შეკითხვაზე, ირწყვებოდა თუ არა ტერიტორია - საწარმოში დასაქმებულებმა სხვადასხვა პასუხი გაგვცეს: ზოგმა გვიპასუხა, რომ ტერიტორია კვირაში ერთხელ ირწყება, ზოგის თქმით კვირაში სამჯერ, ნაწილმა კი ყოველდღიურადო. შეკითხვაზე, თუ რა საშუალებებით ხდებოდა ტერიტორიის მორწყვა, ასევე სხვადასხვა პასუხი მივიღეთ. ნაწილის თქმით, კომპანიას სარწყავი მანქანა ჰყავს, ნაწილმა კი - კერხერის სარეცხ აპარატს გამოვიყენებთო. მას შემდეგ, რაც მოვითხოვეთ ეჩვენებინათ მანქანა, რომლითაც ტერიტორიის მორწყვა ხდებოდა გვიპასუხეს, რომ კომპანიას სარწყავი მანქანა საერთოდ არ ჰყავს. ნათელია, | **მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:** გზშ-ის ანგარიშის თანახმად, არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ამტვერიანების შემთხვევაში გათვალისწინებულია შემოსასვლელი გზების მორწყვა. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საპროექტო ტერიტორიის ადგილზე დათვალიერებისას საპროექტო ტერიტორია, მიუხედავად მშრალი და ცხელი ამინდისა, არ იყო მორწყული და მნიშვნელოვნად შეინიშნებოდა ამტვერების პრობლემა. გარდა ამისა, მომსახურე პერსონალისა და საწარმოს წარმომადგენლების მიერ ვერ დასახელდა მორწყვის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია (რითი ირწყვება, მორწყვის ჯერადობა). აღნიშნულის გათვალისწინებით, ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სამინისტროს მოთხოვნის (წერილი N6558/01 (29/06/2021)) საფუძველზე შპს „მაქს იმპორტის“ მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტაცია (წერილი N11777; 06/07/2021). დაზუსტებული |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | რომ კომპანია ტერიტორიას არ რწყავს და ამას არც სავალდებულოდ არ თვლის. ტერიტორიის მორწყვის შესახებ ინფორმაცია, არც შემარბილებელ ღონისძიებებში არ არის განხილული. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით, ეს მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედებაა, რომელიც შეუქცევად ზიანს ახდენს როგორც საწარმოში დასაქმებულ პერსონალის ჯანმრთელობაზე, ასევე, უახლოეს მაცხოვრებლებზე, რომლებიც საწარმოდან სულ რაღაც 340 მეტრით არიან დაშორებულები.<br><br>არსებული პრაქტიკა დაუშვებლად მიგვაჩნია. აუცილებელია, კომპანიამ ვალდებულებად აიღოს არამარტო საწარმოო ტერიტორიის, არამედ შესასვლელი გზის ყოველდღიურად, დღეში რამდენჯერმე (ამინდის გათვალისწინებით) მორწყვაც. | ინფორმაციის თანახმად, მორწყვა განხორციელდება რეზინის მილების საშუალებით, ხოლო მორწყვის ჯერადობა დამოკიდებულია მეტეოროლოგიურ პირობებზე. ერთ მორწყვაზე გამოყენებული იქნება 1 $m^3$ წყალი.<br><br>ამასთან, კომპანიას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობით (12) განესაზღვრა საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების კონკრეტული გეგმის შემუშავება და სამინისტროსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც დამატებით გათვალისწინებული იქნება ავტოცემენტმზიდების საწარმოს ტერიტორიის დატოვებამდე საბურავების მტვრისგან გათავისუფლების, ასევე, არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში საწარმოს ფუნქციონირების შეზღუდვის ღონისძიებები. ამასთან შემარბილებელ ღონისძიებებში გათვალისწინებული უნდა იყოს არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში საპროექტო ტერიტორიისა და მისასვლელი გზების მორწყვა (სულ მცირე დღის განმავლობაში ორჯერ). |
| | მწვანე ალტერნატივა ელ.ფოსტა: | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 | greenalt@greenalt.org ვებ-გვერდი: www.greenalt.org | საწარმოო ტერიტორიაზე გასვლისას ვნახეთ, რომ დანადგარები და ნედლეულის დასაწყობების ადგილები ღია ან ნახევრად დახურულ შენობაშია (დანადგარები, მხოლოდ სამი კედლით არის შემოსაზღვრული) განთავსებული, რაც ასევე დაუშვებელია. საწარმოში გამოყენებული შესაფუთი მასალა, ხმაურის გავრცელებას უმნიშვნელოდ ამცირებს. კომპანიის წარმომადგენელმა, ჩვენს შეთავაზებაზე, სრულად დაეხურა დანადგარი, გვიპასუხა, რომ „ეს დამატებით ხარჯებია და ბიზნესი მით უფრო კარგია, რაც უფრო ნაკლები დანახარჯია და მეტი მოგება“. სრულიად გასაგებია, რომ საწარმოდან წარმოქმნილი ხმაურის შესამცირებლად, კომპანია დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებას საერთოდ არ გეგმავს (არც გზშ ანგარიშში არ არის წარმოდგენილი, ხმაურდამცავი კედლის ან დანადგარების დახურულ შენობაში განთავსების საჭიროება). | **მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:** გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია (თავი 2.13.1), რომ საწარმოო მანქანა-დანადგარები განთავსებულია სამი მხრიდან დახურულ შენობაში, რაც წარმოადგენს ხმაურდამცავ ბარიერს (ხმაურს ამცირებს მინიმუმ 20%-ით). გზშ-ის ანგარიშის მომზადების ეტაპზე განხორციელებული შეფასების და შესაბამისი გათვალების მიხედვით, საწარმოო ობიექტისგან მოსალოდნელი ხმაური არ აღემატება დასაშვებ ნორმებს ახლომდებარე მოსახლეობისთვის (ხმაურის წყაროდან 340 მ).<br>ამასთან, კომპანიას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობით (10) განესაზღვრა ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს საწარმოს მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ყველა წყაროზე თვითმონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებთან ერთად (უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემის გათვალისწინებით), გათვალისწინებული იქნება საწარმოს ტერიტორიაზე და უახლოეს მოსახლესთან ატმოსფერული ჰაერის, ასევე ხმაურის ინსტრუმენტული მონიტორინგი (მონიტორინგის წერტილებისა და სიხშირის მითითებით). |

| | | | |
|---|---|---|---|
| **4** | მწვანე ალტერნატივა<br>ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org ვებ-გვერდი: www.greenalt.org | გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მოსაპოვებლად წარმოდგენილი გზშ ანგარიშიდან, იმის გარკვევა კომპანიას დაგეგმილი - თუ უკვე დასრულებული ჰქონდა პროექტის მშენებლობა შეუძლებელი იყო. ანგარიში სათანადოდ არ აღწერს საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ მდგომარეობას. როგორც საჯარო განხილვის მსვლელობისას აღმოჩნდა, შპს „მაქს იმპორტს“ უკვე დამთავრებული აქვს ცემენტის სილოსების მოწყობა.<br><br>რაც ყველაზე საგანგაშოა, როგორც საჯარო განხილვის მსვლელობისას სამინისტროს წარმომადგენელმა განმარტა, საჯარო განხილვამდე ტერიტორიის დათვალიერებისას დადგინდა, რომ ობიექტზე უკვე მოწყობილი იყო ცემენტის სილოსები, რის შესახებაც რეაგირებისათვის ინფორმაცია მიეწოდა ზედამხედველობის დეპარტამენტს და კომპანია დაჯარიმდა კიდეც. სკოპინგის დასკვნაშიც აღნიშნულია, რომ „შპს „მაქს იმპორტს“ უკვე მოწყობილი აქვს დამატებითი 10 ტ/სთ წარმადობის წისქვილი, ასევე გაზრდილია 8 ტ/სთ წისქვილის წარმადობა და დამონტაჟებულია დამატებითი 11 სილოსი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღნიშნული | **მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ** შპს ,,მაქს იმპორტის” მიერ 2020 წლის 24 ნოემბერს სამინისტროში წარმოდგენილი იქნა ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის სკოპინგის ანგარიში, რომელზეც ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” მე-8 მუხლის შესაბამისად დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება. სკოპინგის ანგარიშში მოცემული ინფორმაციისა და ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სამინისტროს წარმომადგენლის მიერ საპროექტო ტერიტორიის ადგილზე დათვალიერებით დადგინდა, რომ შპს „მაქს იმპორტს“ უკვე მოწყობილი აქვს დამატებითი 10 ტ/სთ წარმადობის წისქვილი, ასევე გაზრდილია 8 ტ/სთ წისქვილის წარმადობა და დამონტაჟებულია დამატებითი 11 სილოსი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღნიშნული ინფორმაცია შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეგზავნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.<br><br>სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2021 წლის 18 იანვარს განხორციელდა საწარმოს ინსპექტირება და შპს „მაქს იმპორტის“ მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №058959 ოქმი, რომლის მიხდვით დადგინდა, რომ შპს ,,მაქს |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | ინფორმაცია შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეგზავნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.“ მიუხედავად ამისა, გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტმა მაინც განაგრძო ადმინისტრაციული წარმოება და მინისტრის 2021 წლის 18 იანვრის 2-74 ბრძანებით სკოპინგის დასკვნა გაიცა დაგეგმილ საქმიანობაზე.<br><br>აღსანიშნავია, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი არ ითვალისწინებს უკანონოდ დაწყებულ (თუნდაც დროებით შეწყვეტილ, მაგრამ მიმდინარე მშენებლობის) საქმიანობაზე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.<br><br>კოდექსის 47-ე მუხლი ითვალისწინებს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას; თუმცა, კოდექსის თანახმად, ეს შესაძლებლობა მხოლოდ იმ საქმიანობებს შეეხებოდა რომელთა განხორციელებაც 2015 წლის 1 ივნისამდე დაიწყო. გარდა იმისა, რომ ასეთ შემთხვევებში გადაწყვეტილების მიღება სულ სხვა პროცედურის საფუძველზე ხდებოდა (მზადდებოდა ეკოლოგიური აუდიტის ანგარიში და მიმდინარე საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შერბილების | იმპორტმა” ცემენტის საწარმოს წარმადობის გაზრდის (საწარმოო სიმძლავრის) მიზნით ახალი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებამდე განახორციელა ტექნოლოგიური ცვლილებები და დამონტაჟდა 11 ცემენტის საცავი სილოსი და ჩაერთო ერთიან სისტემაში. ზემოარნიშნულის გათვალისწინებით, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 9 მარტის №4-10-21 დადგენილებით შპს ,,მაქს იმპორტი” ცნობილ იქნა საქართველოს ადმინისტრაციულს სამართალდარღვევათა კოდექსის 79[7]-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად და ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრა ფულადი ჯარიმა.<br><br>შპს ,,მაქს იმპორტის” მიერ წარმოდგელ გზშ-ის ანგარიშის გარკვეულ თავებში მითითებული იყო ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია, კერძოდ ზოგ ნაწილში აღნიშნული იყო, რომ დამონტაჟდა ზემოაღნიშნული მოწყობილობები/დანადგარები, ასევე ზოგ ნაწილში იგივე საქმიანობა განხილული იყო დაგეგმილად - ,,დამონტაჟდება” და სხვა. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სამინისტროს მოთხოვნის (წერილი N6558/01 (29/06/2021)) საფუძველზე შპს „მაქს იმპორტის“ მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტაცია (წერილი N11777; 06/07/2021). დამატებით |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკი), მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების უფლების მისაღებად სამინისტროსათვის მიმართვის შესაძლებლობით სარგებლობის ვადა 2019 წლის 1 ივნისს ამოიწურა. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტროს არც უნდა დაეწყო ადმინისტრაციული წარმოება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ვინაიდან საქმიანობა არ ხვდება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის რეგულირების ფარგლებში. რაღა თქმა უნდა, წარმოდგენილ<br><br>გზშ ანგარიშზე შეუძლებელია გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. | ინფორმაცია აღნიშნული იქნა საწარმოში არსებული მდგომარეობა, კერძოდ საწარმოში ფუნქციონირებს 3 ტ/სთ წარმადობის და 8 ტ/სთ წარმადობის წისქვილები. ასევე, საწარმოში უკვე დამონტაჟებულია 10 ტ/სთ წარმადობის წისქვილი და დამატებით 11 სილოსი. დამატებით წარმოდგენილ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ საწარმოში დამონტაჟებული 10 ტ/სთ წარმადობის წიქსვილი ამჟამად არ ფუნქციონირებს და მისი ექსპლუატაციაში შესვლა მოხდება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შემდეგ.<br><br>ვინაიდან, გარემოზე ზემოქმედების შესწავლას საქმიანობა საჭიროებს, როგორც მოწყობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე და სამშენებლო სამუშაოების დაწყების შემთხვევაში, ზემოქმედების შესწავლის/შეფასებისთვის კოდექსი არ ითვალისწინებს განსხვავებულ პროცედურას, პროექტთან დაკავშირებით სამინისტრომ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით. |